28/01/2021

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია გაგის ციხეზე ჯვრის მოპარვის შესახებ იუწყება

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია ეპარქიაში ვანდალური ფაქტის შესახებ იუწყება, რომლის თანახმადაც, გაგის ციხეზე აღმართული ჯვარი მოიპარეს. ამის შესახებ ინფორმაცია ეპარქიის "ფეისბუკის" გვერდზეა განთავსებული:

"სამწუხაროდ, კიდევ ერთი ვანდალური ფაქტი დაფიქსირდა მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიაში.
ექვსი წლის წინ, გაგის ციხე-სიმაგრეზე, მეუფე გიორგის ლოცვა-კურთხევით, საზეიმოდ აღმართული ჯვარი დღეს ბარბაროსულად იქნა ადგილიდან აღებული და მოპარული.

წმიდა ნინოს ხსენების დღესთან დაკავშირებით, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი, მრევლთან ერთად კვლავ აღმართავს ჯვარს გაგის ციხე-სიმაგრეზე და საზეიმოდ აკურთხებს" – აღნიშნულია ინფორმაციაში.

— dogma.ge